ზაალ ქორთუა

ეპიდემიათა ისტორიის საკითხის შესწავლისათვის გვიანფეოდალური ხანის საქართველოში

(დასავლეთ საქართველოში გავრცელებული დაავადებები)

წარმოდგენილი სამეცნიერო პუბლიკაცია შეეხება ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა დაავადებათა შესწავლის ისტორია დასავლეთ საქართველოს მაგალითზე გვიანფეოდალურ პერიოდში. სხვადასხვა ისტორიული წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ავტორი გამოყოფს აქ გავრცელებულ ძირითად დაავადებებს, რომლებიც მეტად ცუდ გავლენას ახდენდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ზოგადად დიდად უშლიდა ხელს საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. ავადმყოფობების განსაზღვრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივ კლიმატურ პირობებს, როგორც სხვადასხვა დაავადებათა საფუძველს. ისტორიული წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველოში ჯანდაცვის საერთო მდგომარეობა ფრიად არადამაკმაყოფილებელი ყოფილა, რაც ექიმებისა და სამკურნალო საშუალებების დეფიციტით იყო გამოწვეული. როგორც ისტორიული მასალებიდან ირკვევა, ადგილობრივ მკურნალთა ნაკლებობის გამო აქ მოღვაწეობდნენ უცხოელი ექიმები, აღსანიშნავია კათოლიკე მისიონერთა ნაყოფიერი საქმიანობა, რომლებიც სამკურნალო საქმეში დიდად გაწაფული იყვნენ. ისტორიული წყაროები არ იძლევიან ცნობებს ამა თუ იმ ავადმყოფობების გავრცელების არეალისა და გარდაცვლილთა სრული რაოდენობის შესახებ, თუმცა ცნობების საფუძველზე და ამა თუ იმ ავადმყოფობათა ბუნების გათვალისწინებით ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ გადამდები ინფექციური დაავადების შესაძლო გავრცელებას მოსახლეობაში დიდი მსხვერპლის გამოწვევა შეეძლო. XX ს. მეორე ნახევრიდან სანაპიროს ჭაობიანი ზოლის დაშრობის შემდეგ ფაქტიურად მოისპო ნაშრომში აღნიშნული დაავადებების კერები შავიზღვისპირეთის საქართველოს ტერიტორიაზე.

საკვანძო სიტყვები: *დასავლეთ საქართველო, დაავადებები, ინფექციები, რუსეთის იმპერია.*

Zaal Kortua

To study the issue of epidemic history in feudal Georgia

(Common diseases in western Georgia)

Annotation : *The presented scientific publication concerns such actual issue as the history of the study of epidemy on the example of Western Georgia in the late feudal period.Based on merging different historical sources author highlights the most common diseases here, which had a very bad influence on the health of the population and generally greatly hindered the socio-economic and cultural development of the society. local climatic conditions played an important role in determining diseases because of being the basis of various diseases. According to historical sources the general state of health care in western Georgia was very unsatisfactory, which was caused by a shortage of doctors and medicines. As it turned out, foreign doctors worked here due to the shortage of local doctors. It is noteworthy to mention a fruitful work of the Catholic missionaries, who were greatly trained in healing. Historical sources do not provide information about the area where different epidemy and diseases were spread and the total number of deaths. However, based on the sources and considering the nature of different diseases, the author made a conclusion which meant that possible spread of infectious disease could cause great casualties among the population.From the second half of the XX century, after drying of the coastal swamp, the common sources of the diseases mentioned in the work have practically disappeared from the territory of the Black Sea coast of Georgia.*

Key words: *Western Georgia, diseases, infection, Russian impire.*

კაცობრიობამ თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ათეულობით სენი და ეპიდემია გადაიტანა. ზუსტი ცნობები გავრცელებული დაავადებებისა და მათ მიერ მიყენებული ზარალის შესახებ, რა თქმა უნდა, არ შემონახულა. დაავადებათა ბუნება და წარმოშობის მიზეზები მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასთან და მის შემადგენელ ნაწილს შეადგენს. წინამდებარე ნარკვევის მიზანია ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით მკითხველს გააცნოს დასავლეთ საქართველოში გავრცელებული დაავადებები გვიანფეოდალურ ხანაში, მასთან ბრძოლის მეთოდები და საშუალებები, მათი გავლენა საზოგადოების მდგომარეობაზე და შედეგები.

დასავლეთ საქართველოს ჭარბად ნესტიანი ჰავა ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა სხვადასხვა ავადმყოფობების გასავრცელებლად. ანტიკური პერიოდის ავტორები (ჰეროდოტე - V ს, ჰიპოკრატე - 460-377 წწ, აპოლონიოს როდოსელი - 295-215 წწ, პლინიუსი - 23—76 წწ, სტრაბონი - 63-24 წწ, არიანე 95-175 წწ, აგათია-536-582 წწ. და სხვ.) თავიანთ აღწერილობებში აღნიშნავენ აქაური კლიმატის შესახებ. ადგილობრივნი, რომლებიც ბუნებრივად შეგუებულნი იყვნენ ნესტიან და ჭაობიან გარემოში ცხოვრებას, შედარებით ადვილად იტანდნენ კლიმატის თავისებურებებს, რაც მეტად რთული იყო ჩამოსულთათვის. გვიანფეოდალურ ხანაში სამეგრელოში ჩამოსული თითქმის ყველა ავტორი - მოგზაური, კათოლიკე მისიონერი, ვაჭარი, ელჩი, სამხედრო პირი თუ სხვა, ყველა ერთხმად აღნიშნავს აქაური ნესტიანი ჰავის ცუდ გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც ხშირად სხვადასხვა დაავადებების წარმოშობის მიზეზი ხდებოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში უცხო დაავადებების შემომტანნი უმეტეს შემთხვევაში უცხოელი მოგზაურები და ვაჭრები იყვნენ, რომელთაც საზღვაო გზით, აღმოსავლეთ საქართველოში კი საქარავნო გზით სხვადასხვა სახის საქონელი შემოჰქონდათ. საქართველო, როგორც ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე მდებარე ქვეყანა, აზიასა და აფრიკაში წარმოშობილი სხვადასხვა ეპიდემიისა და ავადმყოფობის ერთ-ერთ მიმღებ ქვეყნად შეიძლება განვიხილოთ.

შედარებით მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა აღნიშნული პრობლემის შესასწავლად მე-17 ს. განეკუთვნება. ეს არის ცალკეული გამოკვლევები, უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერები, მისიონერთა რელაციები და სხვა ისტორიული მნიშვნელობის მქონე საბუთები.

როდესაც ვეხებით დას. საქართველოში გავრცელებულ დაავადებებს და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს (Sacra Congregazione De Propaganfa Fide) წარმომადგენელთა დიდი ღვაწლი ამ მიმართულებით. 1622 წელს რომში შექმნილი ეს ორგანიზაცია, რომლის მთავარი დანიშნულებაც რეფორმაციის შემდგომი ხანის მსოფლიოში კათოლიკობის პროპაგანდა და დაცვა წარმოადგენდა, არჩევდა და ამზადებდა მისიონერებს პროპაგანდის სამსახურისთვის. მისიონერები იგზავნებოდნენ სხვადასხვა, მათ შორის აღმოსავლეთის ქვეყნებში სამოღვაწეოდ და კათოლიციზმის საქადაგებლად. გარდა საეკლესიო ცოდნისა, მისიონერები დიდად განსწავლული იყვნენ საერო საქმეებში - მედიცინაში, ხელოვნებაში, მწერლობაში და ა. შ. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოღვაწე მისიონერები არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, ქრისტოფორო დე კასტელი, პიეტრო ავიტაბილე, ანტონიო ჯარდინა,

მარია მაჯო, კლემენტე გალანო ის პიროვნებები არიან, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შენარჩუნებისა და გადარჩენის საქმეში. მათ თავიანთ ჩანაწერებში სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებთან ერთად აღწერეს ის დაავადებები და მათთან ბრძოლის ხერხები, რომლებიც გავრცელებული ყოფილა იმ ეპოქის ქართულ სამეფო-სამთავროებში. მადლიერმა მოსახლეობამ გაწეული დიდი ღვაწლისთვის მათ ,,ღორონთიშ კოჩი“ (ღვთის კაცი ზ. ქ.) უწოდა.

მტრის შემოსევებისა და ომების შედეგად დანგრეულ ქვეყანაში ათასგვარი ავადმყოფობა მძვინვარებდა, ხოლო ექიმების დიდი დეფიციტი იყო. ასეთ ვითარებაში ჩამოსული ევროპელები - მისიონერები მკურნალობდნენ ავადმყოფებს შესაძლებლობის მიხედვით არა მარტო სამეფო (სამთავრო) კარზე, არამედ მოსახლეობაშიც. თეატინელი მისიონერები საქართველოში გვევლინებიან როგორც არა მარტო სასულიერო პირები, არამედ მკურნალ-ექიმებიც (ქორთუა 2012 : 82).

მათი ჩანაწერებიდან ვგებულობთ, რომ დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მთლიანად ქვეყანაში, სამედიცინო დარგში ძალიან მძიმე მდგომარეობა ყოფილა. თითქმის არ ყოფილან განათლებული ადგილობრივი მკურნალები, რის გამოც შეუძლებელი ყოფილა ავადმყოფთა მკურნალობა და გადარჩენა. განსაკუთრებით რთულდებოდა საქმე, როდესაც უცხო, შემოსული სენით ხდებოდა მოსახლეობის ინფიცირება. ჩვენ შეგნებულად არ აღვწერთ ნარკვევში ადგილობრივ მკურნალთა მეთოდებს, რომლებიც საქმის სრული უმეცრებით გამოიყენებოდა მოსახლეობაში.

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ მედეას სამშობლოში ხალხური საშუალებებით მკურნალობის ხერხები და მეთოდები სრულად იგნორირებული ყოფილიყოს. როგორც ჩანს, ეკონომიკურად და პოლიტიკურად დასუსტებულ ქვეყანაში მივიწყებული ყოფილა ათასწლეულობით დაგროვილი სამედიცინო ცოდნა, ან მასზე ხელი მხოლოდ ერთეულებს მიუწვდებოდა და მასიურად არ (ვერ) გამოიყენებოდა.

1614-1615 წწ. სამეგრელოს სოფელ მოქვში (დღევანდელი ოჩამჩირის რაიონი ზ.ქ.) გაჩენილა ქოლერა (მ. თამარაშვილის მიხედვით ,,ჟამი'' ზ. ქ.) რომელმაც შეიწირა იქ მოღვაწე ფრანგი სასულიერო პირი ეტიენ ვიო, ავად გამხდარა მეორე ფრანგი მისიონერი ლუი გრანჟეც, რომელმაც გადაწყვიტა გარიდებოდა აქაურობას და კონსტანტინეპოლს გაეშურა, სადაც 1615 წ. 22 მაისს გარდაიცვალა (თამარაშვილი 1902: 173). ჩვენ არ გაგვაჩნია ცნობები

ეპიდემიის გავრცელების არეალისა და მის შედეგად დაღუპულთა რაოდენობის შესახებ, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ვერაგი დაავადების შესაძლო გავრცელებას მოსახლეობაში დიდი მსხვერპლის გამოწვევა შეეძლო. მ. თამარაშვილის მიხედვით, ეს სენი ,,მისიონერების მისვლისთანავე სამეგრელოში გაჩენილა, რომელიც სხვა მგზავრებმა ნავიდგან შემოიტანეს“... (თამარაშვილი 1902; 142)

1629 წ. დომინიკანელმა მისიონერმა ჯოვანი ჯულიანო და ლუკამ იმოგზაურა აფხაზეთში, ჩერქეზეთსა და სამეგრელოში და შეხვდა ოდიშის მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657 წწ.) რომელმაც დიდი სურვილი გამოთქვა სამეგრელოში იტალიელ მისიონერთა მოწვევისა, დადიანი მასთან საუბარში აღნიშნავდა: ,,რადგანაც ამ ტომის ხალხი მიმაჩნია ყველაზე უფრო მრავალ და განათლებულ ერად... ძრიელ დიდად ვნატრობ, რადგან ვიცი განსწავლულნი არიან და ექიმობაც იციან...ექიმობა კი ჩემთვის საჭიროა'' (თამარაშვილი 1902: 147). ჯოვანი და ლუკამ უწამლა ლევან დადიანს, რომელსაც ფილტვის სნეულება აწუხებდა, ასევე უმკურნალა მის ავადმყოფ მეუღლეს და გამოაჯანმრთელა. აფხაზეთში მთავარმა პუტომ ჯოვანი და ლუკა მეუღლის სამკურნალოდ მოიწვია. იტალიელი პატრის მეცადინეობით გარკვეული პერიოდის შემდეგ სნეული გამოკეთდა (თამარაშვილი 1902: 145). სამკურნალო საშუალებებში ჯოვანი და ლუკა ასახელებს მიტირდატეს (ერთგვარი ბალახი ზ.ქ.) და შემზადებულ რეობარბაროს (თამარაშვილი 1902: 145).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალმოსული იტალიელი მისიონერები აქაურ ჰაერს ვერ იტანდნენ და სნეულდებოდნენ. ბევრი მათგანი იღუპებოდა, ჩამოსულთა ნაწილი კი გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ეგუებოდა აქაურ კლიმატს და თანდათანობით იკურნებოდა. ციებით და სხვა ავადმყოფობებით გარდაიცვალნენ მისიონერები ანტონიო ჯარდინა, გაეტანო დ,ალესანდრო, ჯოვანი მონტი, ჯაკომო მარცი. დაავადდა ანდრია ბორომეც. (თამარაშვილი 1902: 195).

გურიაში მოღვაწე ცნობილი იტალიელი მისიონერი, ქართული გრამატიკის შემდგენელი ანტონიო ჯარდინა, სხვადასხვა ავადმყოფობებით გამოწვეული აუტანელი თავის ტკივილის მიუხედავად, აქტიურად იდგა ადგილობრივი მოსახლეობის სამსახურში.

დონ პიეტრო ავიტაბილეს ცნობით, გურიაში მოსახლეობის ჯანდაცვის საქმეს ემსახურებოდა წარმოშობით უნგრელი ექიმი, რომელმაც ,,მოკლე ხანში შეისწავლა არა მარტო ყველა ავადმყოფობა, არამედ ყველა საჭირო წამლის გამოყენებაც'' (ავიტაბილე 1977 : 72).

ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფალნი, ხედავდნენ რა ჯანდაცვის საქმის უნუგეშო მდგომარეობას, ცდილობდნენ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აეყვანათ ეს დარგი და უშუალო მონაწილეობას ღებულობდნენ სნეულთა მკურნალობაში. იტალიელი არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც საქართველოში დაჰყო 18 წელი (2 წელი -- ქართლში, 16 - სამეგრელოში ზ. ქ.) სხვებთან ერთად კარგად იცნობდა მედიცინის მდგომარეობას და ამ დარგში არსებულ გამოწვევებს. ის აღნიშნავს, რომ ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი, რომელიც მრავალმხრივ საქმეში ჩახედული ხელისუფალი იყო, მედიცინის დარგის დიდი ხელშემწყობი და ქომაგი ყოფილა. ლამბერტი წერს: ,,ძველად მთავრის მოვალეობა იყო ეზრუნა თავისი ხალხის საზრდოსა, ტანსაცმლისა და ექიმობისათვის. ეს ჩვეულება ჩვენს ქვეყნებში სრულებით განდევნილია, (ლამბერტი აქ გულისხმობს მის თანამედროვე დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ზ. ქ.) მაგრამ დადიანი თავის ქვეყანაში კი მტკიცედ მისდევს ამ ჩვეულებას. მართლაც იმისათვის, რომ ექიმობა გაუწიოს თავის ხალხს, კითხულობს სხვადასხვა საექიმო წიგნებს, რომლებიც გადმოთარგმნილია ლათინურიდან მათს ენაზე, შესწავლილი აქვს მრავალი სანელებელი, სამკურნალო ბალახები, მცენარის ძირები და აკეთებს მრავალ წასაცხებს და სასმელ წამალს. ასეთის წამლებით სავსე აქვს ყუთები, რომელთაც თან დაატარებს და საჭიროებისამებრ ყველას ურიგებს. ამ წამლებს ისე თხოულობენ, თითქოს თვით გალენი (ძველი ბერძენი ექიმი ახ. წ. I ს. ზ. ქ.) ურიგებდეს მათ (ლამბერტი 1990 : 29). მიხ. თამარაშვილის მიხედვით, არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე შესანიშნავი მკურნალები ყოფილან. მათ მოარჩინეს მთავარი მრავლობითი ფიზიკური დაზიანებებისაგან. მადლიერმა მთავარმა მისიონერებს წიფურიის ეკლესია და მამული გადასცა სამოღვაწეოდ (დღევანდელი სოფ. თაგილონი, გალის რაიონი) (თამარაშვილი 1902 : 174). მისიონერები ციების საწინააღმდეგოდ იყენებდნენ ქინაქინას, რაც მეტად ეფექტური საშუალება იყო დაავადებულთა სამკურნალოდ. სავარაუდოდ, ეს წამალი მათ უცხოეთიდან ჩამოჰქონდათ მოსახლეობის სამკურნალოდ.

ადგილობრივი ექიმების დეფიციტიდან გამომდინარე, აქ მრავლად ჩამოდიოდნენ თურქები, ირანელები, იტალიელები, ფრანგები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომელთაც მეტ-ნაკლებად რაღაც ესმოდათ ამ საქმისა. ასეთი ხალხი მოსახლეობაში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მათ ადგილობრივი შეგირდებიც ჰყავდათ, რომელთაც სამკურნალო მცენარეებს და წამლის მომზადების წესებს ასწავლიდნენ. ლამბერტის ცნობით, ციებისას სამეგრელოში აქტიურად იყენებდნენ საფაღარათო საშუალებებს.

ადგილობრივი დაავადებებიდან აქ გავრცელებული ყოფილა:

ტყირპი - (ელენთის გადიდება, სტომაქის დამძიმება და მოშლა (ნიკო ჩუბინიშვილის მიხედვით ზ.ქ.), კანის პათოლოგიური სიწითლე.

წყალმანკი - (წყლის დაგროვება კანქვეშა ქსოვილში, სხვადასხვა ორგანოებსა და სიღრუეებში, პლევრასა და მუცლის ღრუში ზ.ქ.)

ხველა - (შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ფორმით გამოხატული, ჭლექის (ტუბერკულოზის) ჩათვლით ზ.ქ.)

ციება - გამოწვეული სხვადასხვა მიზეზით, ხშირად მალარიისა ან ტიფის ფორმით გამოხატული.

ლამბერტის ცნობებიდან ნათლად ჩანს სამკურნალო საქმის ფრიად უნეგეშო მდგომარეობა სამეგრელოში. ზოგადად უნდა ვივარაუდოთ, რომ ანალოგიური მდგომარეობა სუფევდა მეზობელ სამეფო-სამთავროებშიც.

როცა ადგილობრივი ძალებით შეუძლებელი ხდებოდა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა, ოდიშის ჭკვიანი მთავარი ლევან II დადიანი ცდილობდა დაკავშირებოდა ევროპას და მისგან მიეღო დახმარება ჯანდაცვის მდგომარეობის გამოსასწორებლად. მან იტალიაში, ტოსკანას დიდ ჰერცოგთან ფერდინანდ II-თან წერილი გაატანა არქანჯელო ლამბერტის, რომელიც საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდებოდა. დადიანი დიდ ჰერცოგს სწერდა:

,,მის ბრწყინვალებას, ტოსკანას დიდ ჰერცოგს. უბრწყინვალესო ბატონო!

ჩვენს ქვეყნამდე მოაღწია თქვენი უბრწყინვალესი სასახლის დიდებამ, რასაც მიაწერენ ასევე თქვენს ქვეშევრდომ ადამიანებსაც, რომლებიც გამოცდილნი არიან ყველა ხელოვნებაში. ისინი თქვენი დახმარებით ამზადებენ ისეთ საგნებს, რომლებსაც ვერ იპოვი ვერც ერთ სხვა ქვეყანაში. ეს შეეხება განსაკუთრებით წამლებს.

იმის გამო, რომ ჩემი ვაჟიშვილი მძიმე ავად გახდა და აქამდე ვერავინ შეძლო მისი განკურნება, მე მეჩვენა მიზანშეწონილად დამევალებინა თეატინელი მამა არქანჯელო ლამბერტისთვის...რათა მან აუხსნას თქვენს ბრწყინვალებას ჩემი საჭიროების შესახებ. ვიმედოვნებ თქვენს გულმოდგინებაზე და დახმარებაზე. ჩემი მხრიდან ვპირდები თქვენს ბრწყინვალებას ყოველგვარ მხარდაჭერას...'' (Majorana 1990 : 135).

მიუხედავად ლევან დადიანის მკვეთრად გამოხატული ევროპული კულტურულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ორიენტაციისა, მის მიერ აღებულ ამ კურსს ქვეყანაში

არსებული ურთულესი პოლიტიკური სიტუაციის გამო შედეგი არ მოჰყოლია. ბუნებრივია, არც ტოსკანელი ექიმები ჩამოსულან სამეგრელოში.

საკვლევი საკითხის გარშემო ცნობების დიდი ნაწილი XVIII ს. ბოლოთი და XIX ს. თარიღდება, როდესაც საქართველოში სხვადასხვა მისიით ჩამოდიან ევროპელი მკვლევარები, მწერლები, რუსეთის იმპერიის წარმომადგენლები და ჩვენი ქვეყანა იმპერიის შემადგენელი პერიფერია ხდება.

რუსი გენერალი სუხოტინი, რომელმაც 1771 წ. ავადსახსენებელი გენერალი ტოტლებენი ჩაანაცვლა, თავის ანგარიშში სამხედრო ხელმძღვანელობისადმი აღნიშნავდა, რომ ფოთში ,,ცუდი სასმელი წყალი გახდა იმის მიზეზი, რომ რუსის ჯარში გაჩნდა გადამდები სნეულება (საუბარია ციებ-ცხელებაზე ზ.ქ.) რის შედეგადაც ხალხის დიდი ნაწილი დაიხოცა'' (დე გრაი დე ფუა 1985 : 59).

იმერეთსა და სამეგრელოში მოგზაურობისას ,,გამიმეორდა მძიმე შედეგები ციებისა, რომელიც მთელი აგვისტოს განმავლობაში დამყვებოდა. მაწუხებდნენ ჯირკვლები და სირსველე კანზე... გამუდმებით ნოტიო და ამასთან ცხელი ჰავისაგან ჩემს თანამგზავრებს დასჩემდათ ციება, თავის ტკივილი, ტანზე გამოაყარათ და აუტანელი ნერვული ქავილი აუტყდათ, ძირმაგარებიც გამოუვიდათ...'' წერს თავისი მოგზაურობის ანგარიშში ცნობილი გერმანელი მეცნიერი იოჰან გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში 1771-1772 წწ. იმოგზაურა (გიულდენშტედტი 1962 : 173). მას ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე, ჩრდ. კავკასიაში მყოფს უკვე გააჩნდა ინფორმაცია საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული ,,შავი ჭირის'' ეპიდემიის შესახებ. ამის შესახებ მეცნიერი წერდა: ,,მე მიზანშეწონილად ჩავთვალე საქართველოში ჩემი მოგზაურობის გეგმა ამჟამად მთლად გადამედო მანამ, სანამ ჭირი იქ არ გადაივლიდა"... (გიულდენშტედტი 1962 : 125).

XIX ს. საქართველოში ,,შავი ჭირი" დიდ საფრთხედ რჩებოდა. გერმანელი ბუნებისმეტყველი ედუარდ აიხვალდი, რომელმაც 1825-26 წწ. კავკასიაში იმოგზაურა, საქართველოს შესახებ წერს: ,,საქართველოს ოთხი მხრიდან ემუქრება ჭირის შემოჭრის საშიშროება: კავკასიისა და აზიის მხრიდან --- თურქეთიდან. ამიტომ აქ ჭირის თავიდან ასაცილებლად კარანტინებია დაწესებული... იმერეთში ბაღდადთან, ქუთაისის ახლოს; ქართლში იმერეთის საზღვართან, სურამში." (აიხვალდი 2005: 91) მისი აზრით, სამეგრელოს ჰავა ,,ერთ ერთი ყველაზე არაჯანსაღია მთელს მსოფლიოში". (აიხვალდი 2005: 191) რედუტ-კალეს (ყულევი ზ.ქ.) სამხედრო ჰოსპიტალში აიხვალდი ცხელების ფაქტებს აღნიშნავს. ,,ეს

დაავადება ხშირად ავთვისებიან ფაღარათში გადადის, მანდა ჯირკვლებისა და ღვიძლის ქრონიკულ გადიდებას (გამკვრივებას ავტ.) იწვევს, რაც სიკვდილით მთავრდება“. (აიხვალდი 2005: 202)

თითქმის ერთნაირად აღწერენ სამეგრელოს ჰავას და მის თანმხლებ ციებას მე-19 ს. პირველ ნახევარში აქ მყოფი უცხოელი ავტორები. მალარია დაუნდობლად ანადგურებდა ჩამოსულსა თუ ადგილობრივ მცხოვრებს. ,,ბოროტი ანაორთქლი, რომელიც რუსებისათვის მომაკვდინებელია, ყველა უცხოელზე დამღუპველად მოქმედებს და თვით ადგილობრივთა ჯანმრთელობასაც ყოველმხრივ ასამარებს, უდროოდ აბერებს და სიცოცხლის ძაფს გაცილებით ადრე წყვეტს, ვიდრე მეზობელ ჯანსაღ მაღალმთიან მხარეში ...სამეგრელოში ოცი წლის ასაკისთვის ჰავის მოქმედება უმრავლეს ინდივიდებზე ალბათ უკვე შესამჩნევი იქნება'' (ვაგნერი 2002 : 140). რედუტ-კალეს (ყულევი ზ. ქ.) აღწერისას ვაგნერი იქ მდგარ რუსული გარნიზონის ჯარისკაცებს ასე ახასიათებს: ,,დიდი რუსული იმპერიის არც ერთი მხარე არაა ისე დამღუპველ-მომაკვდინებელი ჩრდილოელი მოსულებისათვის, როგორც სანაპიროს ეს ადგილი ხობისა და ფაზისის შესართავებთან. ივლის-აგვისტო-სექტემბერში ჩვეულებრივ იხოცება რუსული გარნიზონების მეოთხედი, რომელიც ამის გამო ძალზე შემცირებულია. სხვა ჯარისკაცები, რომლებიც მრავალწლიანი სამსახურისას სიკვდილს გადაურჩნენ, გვანან მოსიარულე მიცვალებულებს...დარაჯობენ მოკანკალე ფეხებით, ძლივს მიათრევენ მუშკეტებს ზღვის ნაპირზე. მცირე სამოქალაქო მოსახლეობა ნაკლებ ავადდება, ვიდრე გარნიზონი, რადგან ისინი ჭაობის ანაორთქლებისადმი ნაკლებ მიდრეკილნი არიან...მიუხედავად ამისა, მათაც ჰყავთ საკმაო კონტინგენტი იმ დიდი სასაფლაოს დასასახლებლად, რომელიც რედუტ-კალესგან თორმეტ ვერსზეა სამხრეთით“ -(ვაგნერი 2002 :139).

საფრანგეთის მეფის კონსული საქართველოში ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელმაც 1820-1824 წწ. იმოგზაურა ამიერკავკასიასა და საქართველოში, რედუტ-კალეს შემდეგნაირად ახასიათებს: ,,რედუტ-კალეში ჰავა მავნეა, აქაური კლიმატი უთუოდ გამოკეთდება, თუ...ჭაობს ამოაშრობენ...აქ ხშირად ჩნდება ციებ-ცხელება, რომლის სამკურნალოდაც ქინაქინა არ გამოდგება''... (გამბა 1987 : 97) ის აღწერს მდ. ხობის მარცხენა მხარეს განთავსებულ საავადმყოფოებს, რომლებშიც სავარაუდოდ, ციებით დაავადებულებს მკურნალობდნენ.

გერმანელი პროფესორი კარლ კოხი, რომელმაც სამეგრელოსა და აფხაზეთში XIX ს.30-იან წლებში იმოგზაურა, სოხუმის ციხის აღწერისას აღნიშნავს, რომ ,,სუხუმ-კალეში

საზარელი სიკვდილიანობა იყო. გარდა ციებ-ცხელებისა, ჯარისკაცები სურავანდითაც ავადდებოდნენ. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, უვარგისი საკვების შედეგად ჩნდება'' (კოხი 1981: 132). ის აგრძელებს: ,, ფოთი კიდევ უფრო სევდისმომგვრელი ადგილია რედუტ-კალესთან შედარებით...მის გარშემო ნიადაგი ჭაობიანია...ზღვიდან უბერავს ქარი, რომელსაც გამოაქვს მავნე ანაორთქლით გაჟღენთილი ნოტიო ჰაერი. ჩვენ ისეთი შემთხვევების მოწმენი ვიყავით, რომ ხშირად ვერ ვასხვავებდით, თუ რა ჭირდა ადამიანს, ეპილეფსია თუ ცხელებისაგან შემცივნება, რადგან კიდურები უცახცახებდათ. ისინი კი, ვისაც ამ ავადმყოფობის მწვავე ფორმა არა აქვთ, თანდათანობით იხოცებიან. ხშირად შეხვდებით შესიებულ, ფერმკრთალ, ჩაყვითლებულ სახეებს, რომლებიც გარე სამყაროს მიმართ სრულიად ინდიფერენტულნი არიან...ხელები უცახცახებთ, სიარული უჭირთ" (კოხი 1981: 168). გურიაში ჩასულ კ.კოხს რუსი იფიცერი ეკითხება:,,რა გინდათ ამ სიკვდილის ქვეყანაში? აქ ხომ ადამიანის სხეული თანდათან იხრწნება. აქ მხოლოდ ისეთი უბედური ადამიანი ჩამოდის, რომელსაც უფროსის სამართლიანი ან უსამართლო გულისწყრომა დაუმსახურებია და თავის სასჯელს იხდის (კოხი 1981: 180).

,,სუხუმ-კალეც სასაკლაოა რუსული გარნიზონისთვის, რომლის უდიდესი ნაწილი ყოველწლიურად კვდება, მეტწილად სკორბუტისაგან (ცინგა ზ.ქ) ... სკორბუტი ხანდახან ისე მძვინვარებს, რომ ზოგჯერ ერთ დღეს 10-12 კაცი კვდება."(აიხვალდი 2005: 212)

გერმანელი მეცნიერი, ეხება რა რუსული იმპერიული პოლიტიკის მიზნებს ამიერკავკასიასა და კერძოდ, საქართველოში, წერს, რომ ,,კავკასია რუსეთს უჯდება წლიურად 300 000 კაცის სიცოცხლედ" (კოხი 1981: 122).

რუსეთის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ივანე ბართოლომეი, რომელმაც 1853 წ. გარკვეული მისიით იმოგზაურა სვანეთში და აღწერა მისი ყოფა და კულტურა, აღნიშნავს, რომ ,,მინერალური წყაროსაგან, რომელიც რკინას შეიცავს თუ სხვა წყაროსაგან, ჩნდება საშინელი ავადმყოფობა--კრეტინიზმი, რომლის შედეგად ჩნდება ყელის წამონაზარდები, რაც ხშირია მუჟალის და მოსაზღვრე ადიშის თემებში'' (ჭილაია 2018 : 67) როგორც ცნობილია, სვანეთის მოსახლეობაში დიდად იყო გავრცელებული ჩიყვი, რასაც ადგილობრივ იოდის ნაკლებობა იწვევდა. შესაძლოა ეს ჰქონდა მოგზაურს მხედველობაში, როცა ზემოთ აღნიშნულს აღწერდა. კრეტინიზმი ზოგადად მთის მოსახლეობის დაავადება იყო, რადგანაც მთის წყალი და საკვები იოდს ნაკლებად ან თითქმის არ შეიცავს და ადგილობრივი მოსახლეობაც სრულიად დაუცველი იყო ამ სენისაგან. წვირმიდან იელისაკენ

მიმავალი ბარტოლომეი თავის ჩანაწერებში აღნიშნავს ,,ჭირისაგან განადგურებული სოფლის ნანგრევებს“ (ჭილაია 2018 : 43).

სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი დავით დადიანი (1813-1853) ყოველნაირად ცდილობდა რეფორმების გზით სამთავროს ფეხზე დაყენებას და ეკონომიკურ გაძლიერებას. მის მიერ სამეგრელოს განვითარებისა და წინსვლისაკენ მიმართული ღონისძიებები ჯანდაცვის სფეროსაც მოიცავდა. 1840 წ. ის სამეგრელოს მდივანბეგისადმი გაცემულ დარიგებებში აღნიშნავდა: ,,უკეთუ რომელსამე შინა გამოჩნდეს ადამიანთა შორის სნეულება ანუ პირუტყვის ჭირი, მაშინ დაუყონებლივ შეტყობითა დაახლოვებული მიზეზთა მომახსენეთ მე, ხოლო მასვე შორის ვიდრე იქნების ჩემგან განკარგულება, მიიღებდეთ ზომასა, რათა ქვემდებარენი სნეულებისადმი იყვნენ განცალკევებულ კარგად მყოფთაგან, რათა შეერთებითა ერთი მეორესთანა არა გახშირდეს სნეულება'' (მეუნარგია 2002 : 66). იგივე მოთხოვნას უყენებდა მთავარი ხობის ნაცვალს ბეჩუნა ჯორჯიკიას (მეუნარგია 2002 : 70).

მთავარი ცდილობდა მკაცრად გაეკონტროლებინა მთელი სამთავრო და არ დაეშვა ეპიდემიის მცირეოდენი გამოვლინებაც კი. XIX ს. 40-იანი წლების ბოლოს სეფიეთში ჭირი გამოვლენილა, რომელზაც მთავარს მყისიერი რეაქცია ჰქონია: ,,თუ მართლა ჭირია, მე საჩქაროდ მივალ იქ, უნდა ზომები მივიღოთ რამე, ხომ ხედავ რუსები როგორ მუშაობენ, ფოჩტიდან დაჩხვლეტილი წიგნები მოგვდისო'' (მეუნარგია 2002 : 23).

როგორც ჩანს, რუსული მმართველობის წარმომადგენლები სანიტარული უსაფრთხოების ღონისძიებებიდან გამომდინარე, საფოსტო ამანათებსაც გულდაგულ ამოწმებდნენ.

1847 წელი სამეგრელოსთვის დიდი ჟამიანობის წელი ყოფილა. სამეგრელოში მართლაც გაჩენილა ხოლერის ეპიდემია. 1847 წლის 26 ივნისიდან 1-ლ ნოემბრამდე სულ სამთავროში ხოლერით ავად გამხდარა 1385 კაცი, მათგან 508 გარდაცვლილა. იმავე წელს მუცელკეთილით (სავარაუდოდ ტიფი ზ.ქ.) ავად გამხდარა 8012 კაცი, გარდაცვლილა 4032 (მეუნარგია 2002 : 25) .

გავრცელებული ყოფილა ყვავილი, რომელიც მოსახლეობაში საყოველთაო აცრის არარსებობის გამო მძიმე ფორმით მიმდინარეობდა. ყვავილით ავად გამხდარა თვით მთავარი დავით დადიანი, რომელსაც ეს სენი თბილისში შეეყარა, თუმცა აცრილი იყო.

მთავარს სენი გაურთულდა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა. თბილისელ პოეტს ლარაძეს მთავრისთვის ლექსიც კი გამოუთქვამს:

,,ყვავილთ მეფე ყვავილთაგან

ვნახე სრულად დანასებით,

ვკითხე აგრე რამან შეგქმნა,

შენ ხელმწიფე აგრე ვებით

მან მითხრა თუ ყვავილთ მიმტრეს,

შევიქენი ასე ვნებით, პირი სრულად დამილესეს

ღაწვი-ვარდი...'' (მეუნარგია 2002: 25)

მზრუნველი მთვარი 1851 წ. 29 დეკემბრის წერილში პლატონ იოსელიანისადმი აღნიშნავდა, რომ ,,დიდი ზიანი მოგვცა პირუტყვთა სენმა, მრავალი გასწყვიტა და აწვა უკვე ხოცს -- საშიშოა სანოვაგეთაცა, რათა სნეული არ შეხვდეს კაცსა'' (მეუნარგია 2002 : 25).

პირუტყვის სენი გაგრძელებულა მომდევნო წელსაც. მთავარი 1852 წ. ივლისში პლატონ იოსელიანს წერდა: ,,დიდი პირუტყვთა ხოცვა არის მეგრელიაში, ჩემი ჯოგები, ძროხა და ხარები მიწყდება. სამს კვირაზედ--- დანაკლისი ფრიადი ბატონყმათათვის, ერთს გლეხს ცაიშელს, გვარად გეგეჭკორს, ორს კვირაზედ ოთხმოცდაჩვიდმეტი ძროხა და ხარი მოუკვდა -- სხვათა მრავალი ერგასი, ორმოცი და ასე მეტ-ნაკლები. შესაბამისი გარემოებათა ზომანი დაღათუ მიღებულ არიან, მაგრამ ვერას გავხდით...ესე ჩამოგვიტანეს აფხაზეთის მიკიტნებთა, რომელთაც მოსდენეს ზამთარს თარაქამის ხარები აფხაზეთის უკრეპლენიებისათვის. ჩვენი საცხოვრებელი და დიდება ეგ ჯოგები იყო და ესეც იხოცება'' (მეუნარგია 2002 : 121).

არსებობდა საშიშროება იმისა, როგორც არაერთგზის მომდარა, რომ პირუტყვიდან სენი მოსახლეობაზე გადასულიყო და დიდი მსხვერპლი გამოეწვია. სწორედ ამაზე წუხდა მთავარი, როცა აღნიშნავდა, რომ ,,საშიშოა სანოვაგეთაცა, რათა სნეული არ შეხვდეს კაცსაო.''

მე-19 საუკუნეში დასავლეთ საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ჯანდაცვის მდგომარეობის მხრივ სავალალო მდგომარეობა სუფევდა. ზოგადი სურათის შესაქმნელად მოგვყავს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ტაბულა, სადაც

მოცემულია ლაზარეთში მყოფ და ამბულატორიულ ავადმყოფ მოსწავლეთა რაოდენობა 1898-1899 წწ.

ავადმყოფობა	სექ	ო	ნ	დ	ი	თ	მ	ა	მ	რ
ციება	40	42	22	5	29	13	27	13	28	219
ფაღარათი	-	-	-	-	-	3	2	2	2	9
საყმაწვილო	-	1	1	-	3	-	-	2	-	7
მუცლის ჭია	-	2	4	-	5	2	2	2	-	17
მუცლის კატარი	4	2	-	-	4	1	1	1	2	15
ელენთის გადიდება	4	7	2	-	-	-	2	-	2	17
სისხლნაკლებობ	3	53	3	-	-	-	-	-	-	11
მოტეხილობები	-	1	-	-	-	-	-	-	-	1
სურავანდი	-	-	-	-	4	-	-	2	-	3
შეკრულობა	7	6	5	-	-	2	2	-	3	25
კუჭის ლილობა	5	6	-	1	4	-	3	-	-	19
გამონაყარი	-	-	-	-	2	5	-	-	2	9
კბილის	-	1	-	3	3	-	2	-	-	9

ვივილი										
ნოსტოედა	-	-	1	-	1	-	-	-	-	2
ფეხის მოყინვა	-	-	-	-	1	2	-	-	-	3
ჯირკვლების გადიდება	1	-	2	1	2	-	-	-	-	6
სახსრების დაჭიმულობა	1	-	-	-	-	-	1	-	-	2
ღრძილების ანთება	2	-	2	2	-	1	-	1	-	8
აბსცესი	-	1	-	3	-	-	-	-	1	5
ეგზემა	1	1	-	-	2	1	2	-	-	7
გულისცემა აჩქარება	5	-	-	-	-	-	2	-	-	7
ბრონქების ანთება	1	1	-	1	1	-	-	1	2	7
ყურის დაავადება	-	2	-	-	-	-	-	1		-
მალარია	2	-	3	-	-	-	2	-	-	7
ფლუსი (დაჩირქება)	-	-	2	-	-	-	-	-	-	2
სისხლდენა ცხვირიდან	2	2	-	-	-	-	-	2	-	6
კუჭის ანთება	-	-	-	1	3	-	-	-	-	4
ბღერი	-	6	4	2	3	2	2	6	-	25
საერთო სისუსტე	2	2	5	-	7	3	-	3	3	25

თავის ტკივილი	5	1	8	4	8	5	11	4	6	42
ყელის ანთება	3	2	1	-	4	1	1	1	2	15
სისხლიანი ფაღარათი	12	-	-	-	-	-	-	-	-	1
ხველა	2	4	5	2	4	-	9	1	1	28
რევმატიზმი	3	3	1	-	3	1	4	1	3	19
სულ	94	98	71	25	90	42	75	43	57	582

(113: ქცა.ფ.5საქ. #228, ფურ.24)

ლაზარეთი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელთან არ იყო. სამედიცინო დახმარებას მოსწავლეებს უწევდა სასწავლებლის ფელდშერი, სერიოზული დაავადებების შემთხვევაში – მოწვეული ექიმი. წამლები მოსწავლეებზე გაიცემოდა აფთიაქართან, ოზურგეთის სასწავლო ოლქის სამღვდელოების მიერ ასიგნებული ფულით (აბდალაძე 2014 : 40).

როგორც ზემოთ მოტანილი ტაბულიდან ირკვევა, მოსწავლეთა ავადმყოფობის ყველაზე მეტი შემთხვევა ციებაზე მოდიოდა.

რუსეთის იმპერიული ხელისუფლება, ცარისტული და შემდგომი პერიოდისა, ცდილობდა დროის მოკლე მონაკვეთში აეთვისებინა შავი ზღვის ამიერკავკასიის სანაპირო ზოლი. უპირველესად ეს გამოიხატებოდა იქ განთავსებული სამხედრო ფორპოსტებისა და მათ ბინადართათვის უსაფრთხო და შედარებით კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნით. ამ და სხვა მიზნებით შავი ზღვის ამიერკავკასიის სანაპიროს მთელ ზოლზე დაიწყო ფართო ჰიდრო-სამელიორაციო სამუშაოები, დაჭაობებული ადგილების დაშრობა-ათვისება და აქტიური ბრძოლა მალარიის წინააღმდეგ. შემოტანილ იქნა ხემცენარეთა ახალი ჯიშები (ევკალიპტი და სხვ). გაიხსნა სამკურნალო დაწესებულებები. განსაკუთრებული

ინტენსიურობით ეს პროცესი XX ს. 30-იან წლებში წარიმართა და 80-იან წლებამდე გაგრძელდა. გაიხსნა სხვადასხვა ტიპის სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები. შავიზღვისპირეთში დაიწყო მოსახლეობის ინტენსიური დასახლების პროცესი. XX ს. მეორე ნახევრიდან ფაქტიურად მოისპო ზემოთ აღნიშნული დაავადებების კერები შავიზღვისპირეთის საქართველოს ტერიტორიაზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

აბდალაძე 2014 : ლალი (ბარბარე) აბდალაძე, *სასულიერო განათლება და პედაგოგიკური აზროვნება XIX საუკუნის გურია–სამეგრელოს ეპარქიაში;* დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად; ქუთაისი 2014 ლ

ავიტაბილე 1977: დონ პიეტრო ავიტაბილე, *ცნობები საქართველოზე (XVII ს.)* თბ. 1977

აიხვალდი 2005: ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ. 2005

ჭილაია 2018 : პოლკოვნიკ ი. ა. ბარტოლომეის *მოგზაურობა თავისუფალ სვანეთში 1853 წ.* რუსულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო კონსტანტინე ჭილაიამ. თბ. 2018

გამბა 1987: ჟაკ ფრანსუა გამბა, *მოგზაურობა ამიერკავკასიაში,* ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ. 1987

გიულდენშტედტი 1962 : *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში* ტ. I გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ.1962

დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ; ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბ. 1985

მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, თბ.2002, გვ.140; გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ. 2002

თამარაშვილი 1902: მიხ. თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანით და განმარტებით XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე,* თბ. 1902

კ. კოხისა და ო. სპენსერის *ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ;* გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა; თბ.1981

ლამბერტი 1990: არქანჯელო ლამბერტი, *სამეგრელოს აღწერა,* თბ. 1990

Majorana 1990 : Bernadette Majorana, *La gloriosa Impresa,* Palermo 1990

მეუნარგია 2002: იონა მეუნარგია, *დავით დადიანი და მისი დრო,* თბ. 2002

გიორგი სოსიაშვილი, საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან, თბ. 2020

ქორთუა 2012: ზ. ქორთუა, *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. ოდიშის სამთავრო XVII ს. I ნახევარში*, თბ. 2012